ოქმი:**ო08. 3723040001**

თარიღი:**09/02/2023**

ოქმი № 3
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 6 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ვ. ნიჟარაძე, პ. კიღურაძე, ალ. ღლონტი, დ. დარჩია, გ. ჩავლეშვილი, ლ. ბიგვავა, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ - „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების“-ათვის (ს.ნ.437372095) გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

4.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: ლ. თავაძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დ. ჭაკნელიძე

მომხსენებელმა, დ.ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, ვრცლად კი მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით. თ. ბაქანიძემ კომისიის წევრებს ასევე გააცნო დღის წესრიგში წარმოდგენილი N2 და 3 საკითხებიც, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ამ პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

თანამომხსენებელმა ლ. თავაძემ კომისიის წევრებს გააცნო N4 საკითხი კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კომისიის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში, კომისიის წევრებმა მოიწონეს ანგარიში და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ხუთივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი